

საქართველოს
ახალგაზრდა მწვანეები



წესდება

მიღებული:
თებერვალი 2019

რუსთავი

1 ზოგადი ინფორმაცია

1.1 არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები“ არის ნებაყოფლობითი ახალგაზრდული საზოგადოებრივი გაერთიანება, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.2 არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი „საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები“ რეგისტრაციის მომენტიდან არის კერძო სამართლის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, რომლის ორგანიზაციულ-სტრუქტურული ფორმაც რეგისტრირებული არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი.

1.3 არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „საქართველოს ახალგაზრდა მწვანეების“ დამფუძნებლები არიან:

სოფიო სახანბერიძე, დაბ. 1978 წლის 25 სექტემბერს ქ. თბილისში; პროფესიით არქიტექტორი. მცხ: ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ. I კვ. კორპ 16. ბინა 5.

თამარ ზანდუკელი, დაბ. 1981 წლის 1 თებერვალს ქ. თბილისში; პროფესიით ინგლისური ენის სპეციალისტი. მცხ: ქ. თბილისი, ნუცუბიძის III მ/რ. I კვ. კორპ 16. ბინა 38.

ნინო ჭელიძე, დაბ. 1985 წლის 15 თებერვალს ქ. თბილისში; პროფესიით სოციოლოგი. მცხ: ქ. თბილისი, თუმანიანის # 19

1.4 არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „საქართველოს ახალგაზრდა მწვანეების“ იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, თუმანიანის 19.

2 სახელი

2.1 არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის სახელი არის „საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები“.

2.2 ორგანიზაცია ასევე შეიძლება, მოხსენიებულ იქნას შემდეგი სახელებით: „ახალგაზრდა მწვანეები“, „Georgian Young Greens“, „Young Greens of Georgia“, „Young Greens“ და „ს.ა.მ“.

3 გეოგრაფიული საზღვრები

3.1 საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები მისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

4 მიზნები და ამოცანები

4.1 გარემოს დაცვა, სოციალური სამართლიანობა, სოლიდარობა, თანასწორობა, მდგრადი განვითარება, დემოკრატიული პრინციპებისა და მწვანე პოლიტიკური კურსის დაფუძნება ქვეყანაში.

4.2 ს.ა.მ-ის წევრების ცნობიერების ამაღლებაზე შემდგომ სფეროებში: ეკოლოგია, მდგრადი განვითარება, თანასწორობა, დემოკრატია, გლობალური სოლიდარობა და სოციალური სამართლიანობა.

4.3 გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მოხალისეობისა და ჩართულობის დონის ამაღლება.

4.4 მეტი შესაძლებლობების შექმნა იმ ახალგაზრდა მწვანეებისთვის, ვინც დაინტერესებულია მწვანე პოლიტიკით, რათა მათ მოახდინონ შემდგომ საკუთარი თავის რეალიზაცია და განვითარება.

4.5 კავკასიის ახალგაზრდა მწვანეების მობილიზაცია, კავშირისა და საერთო აქტივობების კოორდინაციის შექმნისთვის; განვითარება, საერთო იდეებისა და პრობლემების გადაწყვეტა.

5. საქმიანობის ძირითადი ფორმა

5.1 მიზნების მისაღწევად მშვიდობიანი და არაძალადობრივი აქტივიზმი.

6 ნევრობა

6.1 ნებისმიერ ადამიანს, რომელიც არის 16 წელზე უფროსი, 35 წელზე ახალგაზრდა და იზიარებს ს.ა.მ-ის ღირებულებებს შეუძლია, გახდეს ახალგაზრდა მწვანეების წევრი.

6.2 ნევრობის მიღება ხდება აპლიკაციისა და შემდგომ შეხვედრის საფუძველზე.

6.3 ნევრობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აღმასრულებელი კომიტეტი.

6.4 ორგანიზაციის წევრებმა უნდა გადაიხადონ საწევრო გადასახადი, რომელიც წელიწადში 10 ლარს შეადგენს.

6.5 ორგანიზაციის წევრებს აქვთ ხმის მიცემის უფლება.

6.6 ორგანიზაციის წევრებს აქვთ უფლება, მოიწვიონ რიგგარეშე გენერალური ასამბლეა.

6.7 ს.ა.მ-ის წევრებს აქვთ უფლება, მიიღონ ყოველგვარი ინფორმაცია ს.ა.მ-ის აღმასრულებელი კომიტეტისა და ოფისისგან ს.ა.მ-ის საქმიანობის შესახებ.

6.8 ს.ა.მ-ის წევრებს აქვთ უფლება, მონაწილეობა მიიღონ ს.ა.მ-ის პროგრამებსა და პროექტებში.

6.9 წევრს აქვს უფლება, სხვა წევრებს და აღმასრულებელ კომიტეტს წლის განმავლობაში გააცნოს საკუთარი იდეები ახალი კამპანიის, აქტივობის ან პროექტის შესახებ.

6.10 ს.ა.მ-ის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა ხდება:

- საკუთარი განცხადების საფუძველზე;
- საწევროს გადაუხდელობის შემთხვევაში;
- თუ მისი მოქმედება ეწინააღმდეგება ს.ა.მ-ის პრინციპებს და არღვევს ამ წესდების და შინაგანაწესის მოთხოვნებს;
- თუ წევრი ერთი წლის მანძილზე არ ერთვება ორგანიზაციის არცერთ აქტივობაში აღმასრულებელი კომიტეტი სხვა წევრებთან კონსულტაციის შედეგად იტოვებს წევრობიდან გარიცხვის უფლებას.
- 35 წლის შესრულებისას;
- გარდაცვალებისას;
- კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6.11 წევრების ჩართვა საერთაშორისო აქტივობებში ს.ა.მ-ის სახელით უნდა იყოს შეთანხმებული აღმასრულებელ კომიტეტთან.

7. სტრუქტურა

7.1 ს.ა.მ-ის უმაღლესი ხელმძღვანელი და გადაწყვეტილების მიმღები ორგანო არის გენერალური ასამბლეა.

7.2 გენერალურ ასამბლეათა შორის პერიოდში ხელმძღვანელი ორგანო არის აღმასრულებელი კომიტეტი, რომელსაც ირჩევს გენერალური ასამბლეა.

7.3 ს.ა.მ-ს უფლება აქვს, ითანამშრომლოს სხვა ორგანიზაციებთან თუ ფონდებთან.

7.4 ს.ა.მ-ის ოფისის თანამშრომლები უნდა იყვნენ ორგანიზაციის წევრები.

7.5 მხოლოდ ს.ა.მ-ის წევრებს შეუძლიათ ორგანიზაციის სახელით მოქმედება აღმასრულებელი კომიტეტის წევრებთან კონსულტაციის შემდეგ.

7.6 ორგანიზაციულ საქმიანობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება შეუძლია მხოლოდ გენერალურ ასამბლეასა და აღმასრულებელ კომიტეტს.

8 გენერალური ასამბლეა

8.1 გენერალური ასამბლეა არის ს.ა.მ-ის გადაწყვეტილების მიმღები უმაღლესი ორგანო.

8.2 გენერალური ასამბლეა არის ს.ა.მ-ის წევრების კრება.

8.3 გენერალურ ასამბლეაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით, ხოლო გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე ორი მესამედი უმრავლესობით. წევრებს, რომლებიც ვერ ესწრებიან გენერალურ ასამბლეას, შეუძლიათ, ჩაერთონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მხოლოდ ვიდეო ან ხმოვანი ონლაინ ჩართულობით.

8.4 გენერალური ასამბლეა ტარდება წელიწადში ერთხელ.

8.5 რიგგარეშე გენერალური ასამბლეა შესაძლებელია მოწვეულ იქნას ს.ა.მ-ის წევრების ორი მესამედით ან აღმასრულებელი კომიტეტის ორი მესამედის გადაწყვეტილებით.

8.6 გენერალური ასამბლეა ამტკიცებს ახალგაზრდა მწვანეების აღმასრულებელი კომიტეტის წევრების რაოდენობას და ერთი წლის ვადით ირჩევს აღმასრულებელ კომიტეტს.

8.7 გენერალური ასამბლეა აღმასრულებელი კომიტეტის წევრებიდან ირჩევს და ამტკიცებს ორგანიზაციის თავმჯდომარეს და ვიცე-თავმჯდომარეს.

8.8 ვიცე-თავმჯდომარე ეხმარება თავმჯდომარეს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში.

8.9 თავმჯდომარის უფლებამოსილებების შეუსრულებლობის (გამგზავრება უცხოეთში, გარდაცვალება, ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტა და სხვა) შემთხვევაში მისი უფლებამოსილებების განხორციელებელია ვიცე-თავმჯდომარე.

8.10 გენერალური ასამბლეა განიხილავს, შესწორებები შეაქვს და ამტკიცებს მომავალი წლის სამოქმედო გეგმას წარდგენილს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

8.11 გენერალური ასამბლეა საჭიროების შემთხვევაში განიხილავს, შესწორებები შეაქვს და ამტკიცებს პოლიტიკური პოზიციების გამომხატველ დოკუმენტებს, წესდებასა და შინაგანაწესს.

8.12 გენერალური ასამბლეა იღებს გადაწყვეტილებას ს.ა.მ-ის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ ს.ა.მ-ის წევრების ხმათა ორი მესამედის გადაწყვეტილებით.

8.13 გენერალური ასამბლეა ისმენს აღმასრულებელი კომიტეტის წლიურ ფინანსურ და აქტივობის ანგარიშს.

8.14 გენერალურ ასამბლეას შეუძლია, შესწორება შეიტანოს, გააუქმოს ან შეცვალოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება.

9 ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

9.1 ს.ა.მ-ის რეორგანიზაცია (შეერთება, მიერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2 ს.ა.მ-ის ლიკვიდაცია ხდება მიზნის მიღწევის შემთხვევაში, გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას.

9.3 ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.

9.4 ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს სასამართლო. სასამართლო დარჩენილ ქონებას შესაბამისად გადასცემს ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო იურიდიულ პირს, რომლებიც იმავე ან მსგავს მიზნებს ემსახურებიან, რასაც ლიკვიდირებული ს.ა.მ-ი. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს, მაშინ შეიძლება, მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების საქველმოქმედო ორგანიზაციის ან სახელმწიფოსთვის გადაცემის შესახებ.

9.5 ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს. ქონება შეიძლება განაწილდეს გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ.

9.6 ლიკვიდაციას ახორციელებს აღმასრულებელი კომიტეტი. განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას სასამართლოს შეუძლია, სხვა ლიკვიდატორების დანიშვნა.

ლიკვიდატორები პასუხს აგებენ, როგორც გამგეობის აღმასრულებელი კომიტეტი.

10 აღმასრულებელი კომიტეტი

10.1 აღმასრულებელი კომიტეტი არის არჩეული გენერალური ასამბლეის მიერ.

10.2 აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია, კოორდინაცია გაუწიოს ს.ა.მ-ის საქმიანობას.

10.3 აღმასრულებელი კომიტეტი ვალდებულია აქტივობის და ფინანსური წლიური ანგარიში წარუდგინოს გენერალურ ასამბლეას.

10.4 აღმასრულებელი კომიტეტი პასუხისმგებელია გენერალური ასამბლეის ჩატარებაზე.

10.5 აღმასრულებელი კომიტეტი ირჩევს და ათავისუფლებს ს.ა.მ-ის თანამშრომლებს.

10.6 აღმასრულებელი კომიტეტი უფლებამოსილია საქმიანობის ანგარიში, მათ შორის ფინანსური ანგარიში, მოსთხოვოს მასზე პასუხისმგებელ პირებს ნებისმიერ დროს.

10.7 აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ვერ დაიკავებს ს.ა.მ-ში მისი მანდატის განხორციელების პერიოდში სხვა, ანაზღაურებად თანამდებობას.

11 შინაგანაწესი

11.1 ს.ა.მ-ის შინაგანაწესი არის წესდების უფრო დეტალური ვერსია.

11.2 შინაგანაწესი ყოველთვის უნდა იყოს დაცული და შესრულებული.

11.3 შინაგანაწესი შესაძლოა შესწორებულ იქნას გენერალური ასამბლეის დროს ხმათა მარტივი უმრავლესობით.

